ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1236497

ნომერი: AR1213155

თარიღი : 16.04.2014

გაცემის თარიღი : 24.04.2014

გაცნობის თარიღი : 24.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო , N 51 / ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელ ყაჰრემანი გარგარი პ/ნ 01092000276
- თბილისი შუამთის ქ. N 1 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  კორექტირება
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნულ ობიექტზე თქვენს მიერ თავდაპირველად სამსახურში დაყენებული იქნა საკითხი 20.09.2013წ. AR1163355 განაცხადით, სადაც შეტყობინებით გადმოგზავნილი გაქვთ ტექსტი, რომ "ორივე ნაგებობის კონსტრუქცია არის ასაწყობი და საჭიროების შემთხვევაში მარტივად მოხდება მისი დაშლა". აგრეთვე ამავე განცხადებაზე ატვირთულია თქვენს მიერ დამოწმებული თანხმობა დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის კონტეინერების დემონტაჟის თაობაზე, ხოლო "ფოტომონტაჟი"-ს ველში ატვირთული მასალით ნათლად ჩანდა, რომ ხდებოდა ორი ცალ-ცალკე მდგომი დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსება. ყოველივე ზემოაღნიშნულების გათვალისწინებით სამსახურმა გამოიჩინა კეთილი ნება (ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს 100 მეტრიანი გზის შეზღუდვის ზონაში, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი შენობა-ნაგებობის მშენებლობა) და 20.11.2013წ. №1006688 გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა თქვენი მოთხოვნა ტერიტორიაზე I კლასის დროებითი მსუბუქი კონსტრუქციის შენობა-ნაგებობების განთავსების თაობაზე.

ამის შემდგომ თქვენს მიერ კვლავ იქნა სამსახურში დაყენებული საკითხი (AR1207863 27.03.2014წ.) ზემოაღნიშნულ საკითხზე კორექტირების კუთხით, სადაც ატვირთული ფოტომონტაჟის შესაბამისად შენობები კვლავ ცალ-ცალკე იქნა დატანილი და მათ შორის დაცილების მანძილად (მხოლოდ მასალების მითითების გარეშე) მითითებული იყო 0.40 სმ. რაც ეჭვს არ იწვევდა, რომ შენობები განთავსდებოდა ცალ-ცალკე. აგრეთვე "მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" აღნიშნავდით, რომ კორექტირებისას უცვლელი რჩებოდა შენობის გაბარიტული ზომები და იცვლებოდა მხოლოდ კარ ფანჯრების განლაგება და სარეკლამო წარწერა. რაც სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა და გასცა წერილობითი თანხმობა (გადაწყვეტილება №1200238 01.04.2014წ.). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ კონკრეტულ განცხადებაზე ატვირთულ ფოტომონტაჟზე თავდაპირველად რომ ყოფილიყო მასალები მიწერილი (ვინაიდან ფოტომონტაჟზე არ ჩანდა მინის ფაქტურა) სამსახური თქვენს თხოვნას კორექტირების კუთხით არ დააკმაყოფილებდა და განგიმარტავდათ, რომ შენობა სცდებოდა I კლასის მახასიათებლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულებიდან გამომდინარე ვინაიდან ამჟამად წარმოდგენილი ფოტომონტაჟის შესაბამისად საპროექტო შენობა სცდება I კლასის მახასიათებლებს სამსახური ამ ეტაპზე თქვენს თხოვნას ვერ დააკმაყოფილებს და თვლის, რომ მისი განხილვა შესაძლებელი იქნება №1233759 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზების გამოსწორების შემდეგომ.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.